<u>დანართი №1</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

(22.02.2012, №13/2012; 4.10.2013, №111/2013)

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო (22.02.2012, №13/2012; 4.10.2013, №111/2013)

ამ წესის მიზანია განსაზღვროს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – "თსუ") სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, სტუდენტის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, სტუდენტის უფლება–მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

თავი II. თსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 2. თსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიან დიპლომირებული მედიკოსის/ სტომატოლოგის/ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. (22.02.2024, №21/2024)

2. ამოღებულია. (4.10.2013, №111/2013) (22.02.2024, №21/2024)

3. მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს საერთო სამაგისტრო გამოცდასა და შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრულ გამოცდას/გამოცდებს.

4. დოქტორანტურაში მიღების წესი განისაზღვრება თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტითა და შესაბამისი ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით. (22.02.2024, №21/2024)

5. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებს/მაგისტრანტობის კანდიდატებს თსუ–ს სტუდენტის სტატუსი მიენიჭება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება დასაშვებია ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ზოგადი უნარების გამოცდის, ან ოსური ან აფხაზური ენის გამოცდის

შედეგების საფუძველზე ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (19.09.2016, № 111/2016) (22.02.2024, №21/2024)

მუხლი 3. თსუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვა

თსუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი III. სტუდენტის მიერ საკუთარი პროფილის ფორმირება და მოდიფიცირება

მუხლი 4. სასწავლო სემესტრები (22.02.2012, №13/2012)

1. სასწავლო წელი შედგება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან.
2. პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე სემესტრების განსხვავებული რაოდენობა შესაბამისი პროგრამებისთვის შესაძლებელია დადგინდეს რექტორის ბრძანებით.
3. სასწავლო წლის დაწყებამდე რექტორის ბრძანებით განისაზღვრება წინასწარი აკადემიური, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის, სააუდიტორიო მეცადინეობებისა და საგამოცდო პერიოდის ვადები. (09.06.2014, №48/2014)

მუხლი 5. სტუდენტის დატვირთვა (22.02.2012, №13/2012)

1. სტუდენტის დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60-65 კრედიტს.
2. სტუდენტის დატვირთვა ერთი სემესტრის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 35 კრედიტს.
3. დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტს კრედიტების შესაბამისი რაოდენობის შესასრულებლად უფლება ეძლევა აირჩიოს საგნები არაუმეტეს 40 კრედიტისა.
4. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს. (22.02.2024, №21/2024)

მუხლი 6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს სწავლის საფასურის სრულ ან ნაწილობრივ გადახდას თსუ–ში დადგენილი წესების დაცვით, წარმოადგენს აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობას და გამოხატავს სტუდენტის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ შუალედურ და დასკვნით გამოცდებში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით. (22.02.2012, №13/2012)

3. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით.

3^1. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თსუ-ის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამ ქვეყანაში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი წესით. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების თსუ-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით (მემორანდუმით) განსაზღვრული პირობებით. (23.02.2015, №26/2015) (19.09.2016, № 111/2016) (17.05.2017, № 55/2017)

3^2. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თსუ-ის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე დარეგისტრირებას, მშობლიურ უნივერსიტეტში ან უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი წესით. (17.05.2017, № 55/2017)

4. ამოღებულია. (04.10.2013, №111/2013)

5. სასწავლო კურსის შეცვლა ან გაუქმება დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში.

მუხლი 6^1. წინასწარი აკადემიური რეგისტრაცია (09.06.2014, №48/2014)

1. ამავე წესის მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული რეგისტრაციის დაწყებამდე ფაკულტეტებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოაცხადონ წინასწარი აკადემიური რეგისტრაცია, რაც გულისხმობს სტუდენტის სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით.

2. წინასწარი აკადემიური რეგისტრაცია ნებაყოფლობითია როგორც ფაკულტეტის, ასევე შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

3. რექტორის ბრძანებით წინასწარი აკადემიური რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ

ვადებში სტუდენტის მიერ რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში, საგნების დარეგისტრირება შესაძლებელია აკადემიური რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ პერიოდში სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი ადგილების ფარგლებში.

4. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში უქმდება წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში არჩეული სასწავლო კურსები.

5. წინასწარ აკადემიურ რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტებთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე გამოცემული ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალური ადმინისტაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 6[2]. წინასწარი ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტებისთვის (19.06.2015, №59/2015)

1. უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს წინასწარი ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია რექტორის ბრძანებით რეგისტრაციისთვის დადგენილი ვადის დაწყებამდე 60 დღის განმავლობაში. აღნიშნული რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში სტუდენტს სტატუსი ეთვლება აქტიურად.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტი წინასწარი ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის განცხადებით მიმართავს თსუ-ს საფინანსო დეპარტამენტს, ხოლო წინასწარი აკადემიური რეგისტრაციისათვის - შესაბამის ფაკულტეტს.

მუხლი 7. შიდა მობილობა

1. თსუ-ში სტუდენტის ერთი საგანმანათლებლო ერთეულიდან/პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო ერთეულზე/პროგრამაზე გადასვლის (შემდგომში - „შიდა მობილობა“) ადმინისტრირებას ახორციელებს თსუ, შიდა მობილობის ელექტრონული პორტალის მეშვეობით. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ.

2. თსუ-ში შიდა მობილობის პროცედურას არეგულირებს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ერთეულიდან/პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო ერთეულზე/პროგრამაზე გადასვლის წესი“ და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა მობილობის ელექტრონული პორტალის წარმოების წესი.“ (09.08.2013, №93/2013) (22.01.2018, №8/2018)

თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

ბ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა. (22.02.2012, №13/2012)

გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თსუ-დან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის. (23.02.2015, №26/2015)

დ) პირადი განცხადება. (04.10.2013, №111/2013)

1[1]. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი თუ პირმა სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში არ მიიღო შეფასება, აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში. (22.02.2024, №21/2024)

1[2]. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის თაობაზე, მათ შორის ამ მუხლის 11 პუნქტის შესაბამისად შეჩერების შემთხვევაში, ბრძანების გამოცემიდან 10 კალენდარულ დღეში ინფორმაცია წერილობით მიეწოდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. (22.02.2024, №21/2024)

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს თსუ-ს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან 5 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სტატუსის შეჩერებისა და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას. ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს მიმდინარე სემესტრში სტატუსის შეჩერების და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას. (22.02.2012, №13/2012; 0 4.10.2013, №111/2013)

2[1]. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით. (11.06.2012, №46/2012)

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. (22.02.2012, №13/2012)

4. ამოღებულია. (22.02.2012, №13/2012; 0 4 .10.2013, №111/2013)

4[1]. დაუშვებელია სტუდენტის სტატუსის შეჩერება გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თსუ-დან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის. (23.02.2015, №26/2015)

5. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით. (22.02.2012, №13/2012)

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. 2010 წლის 5 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია, მომართოს თსუ-ს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტისსტატუსისშეწყვეტის საფუძველი.
2. თსუ-დან გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სტუდენტს სემესტრი განესაზღვრება თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი V. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება; (04.10.2013, №111/2013)

ბ) სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება; (04.10.2013, №111/2013)

გ) პირადი განცხადება; (04.10.2013, №111/2013)

დ) ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამჯერ კრედიტის ვერმიღება; (22.02.2012, №13/2012; 04.10.2013, №111/2013)

ე) ფაკულტეტის საბჭოს მიერ სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის, ,,შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე; (04.10.2013, №111/2013)

ვ) გარდაცვალება. (04.10.2013, №111/2013)

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით. (22.02.2012, №13/2012)

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. (16.01.2012, №2/2012)

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობითდადგენილიწესით.

თავი VI. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსი და უფლება-მოვალეობები (04.10.2013, №111/2013)

1. თსუ-ს სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;

ბ) ისარგებლოს თსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თსუ-ში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი;

ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;

ვ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასება;

ზ) საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ძირითად ვადებში შეფასების გაუმჯობესების მიზნით სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ფარგლებში განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი. ამ შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო კურსის შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი;

თ) სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისათვის მიმართვის საფუძველზე შეიცვალოს ან გაიუქმოს დამატებითი სპეციალობა.

2. თსუ-ს სტუდენტი ვალდებულია:

ა) სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, პერიოდულად ეცნობოდეს უნივერსიტეტის შესაბამის სამართლებრივ აქტებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები; (22.02.2012, №13/2012; 0 4.10.2013, №111/2013)

ბ) გონივრულ ვადაში აცნობოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში არსებულ ანკეტაში მითითებული ინფორმაციის ცვლილების თაობაზე; (04.10.2013, №111/2013)
გ) არაუგვიანეს მეორე სემესტრისა დაარეგისტრიროს დამატებითი სპეციალობა.
3. პირს უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი ენიჭება უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების საფუძველზე და მოქმედებს უნივერსიტეტთან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე. (04.10.2013, №111/2013)

მუხლი 13. დამატებითი სემესტრი

1. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში.
2. პირველი ორი დამატებითი სემესტრის სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე შესასწავლი სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების შესაბამისად, ხოლო მომდევნო დამატებით სემესტრებში სტუდენტი იხდის მიმდინარე სემესტრში არსებულ სემესტრულ გადასახადს.
3. თუ საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილია სემესტრულ 1125 ლარზე მაღალი სწავლის საფასური, კრედიტის ფასი გამოითვლება სემესტრული გადასახადის შეფარდებით სტუდენტის საშუალო სემესტრულ დატვირთვასთან (30 კრედიტი).
4. საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტის ღირებულება შეადგენს 40 ლარს.

მუხლი 14. საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება

საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად.

მუხლი 15. სწავლის საფასური

1. თსუ-ში სწავლის საფასური სწავლების ყველა საფეხურზე განისაზღვრება სემესტრული გადასახადით და შეადგენს 1125 ლარს, თუ საგანმანათლებლო პროგრამით ან/და კანონმდებლობით სხვა რამ არის დადგენილი. (22.02.2024, №21/2024)
2. 2009–2010 სასწავლო წლამდე ჩარიცხულთათვის, სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში, სწავლის საფასური განისაზღვრება სემესტრული გადასახდელით და ყველა ფაკულტეტსა და სპეციალობაზე შეადგენს:
ა) საქართველოს მოქალაქეთათვის:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – 750 ლარი;
ბაკალავრიატი - 750 ლარი;
მაგისტრატურა - 1000 ლარი;

დოქტორანტურა - 1000 ლარი.

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის:

ბაკალავრიატში – 1250 ლარი;

მაგისტრატურაში – 1500 ლარი;

დოქტორანტურაში – 2000 ლარი. (04.10.2013, №111/2013)

3. 2009–2010 სასწავლო წელს თსუ–ში ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის სწავლების სემესტრული საფასური სწავლების ყველა საფეხურზე შეადგენს 1125 ლარს.

4. 2010-2011 სასწავლო წლიდან ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაწესდეს სწავლების განსხვავებული საფასური ფაკულტეტებისა და პროგრამების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ ამ მუხლის 1–ლი პუნქტით დადგენილი ოდენობისა.

5. ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაწესდეს სწავლის განსხვავებული საფასური. (22.02.2024, №21/2024)

6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურზე შეღავათის საკითხს პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე წყვეტს ფაკულტეტის საბჭო. (22.02.2024, №21/2024)

7. გარდამავალი პერიოდის დოქტორანტებისათვის სწავლის საფასური განისაზღვრება ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

8. თუ არსებობს შეღავათიანი ტარიფით გაფორმებული ხელშეკრულება, სტუდენტს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უნარჩუნდება ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის ოდენობა.

9. ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფაროს ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში.

10. სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება თსუ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფით.

11. თუ სტუდენტი სტატუსს აღიდგენს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მან უნდა განაახლოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. ამ შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება სტუდენტის სტატუსის აღდგენისას დადგენილი ტარიფით.

12. სტუდენტი, რომელიც ჩარიცხვიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ არ მონაწილეობდა სასწავლო პროცესში და მის მიმართ არ გამოცემულა შესაბამისი სამართლებრივი აქტი (გარიცხვის/ამორიცხვის/შეჩერების ბრძანება), სწავლის გაგრძელების უფლების მიცემის შემდეგ, ვალდებულია განაახლოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. სწავლის საფასური განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებისას თსუ-ში დადგენილი ტარიფის შესაბამისად. (04.10.2013, №111/2013)

თავი VII. სტუდენტის მიღწევების შეფასება

მუხლი 16. შუალედური/დასკვნითიგამოცდა (09.06.2014, №48/2014)

1. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულა. შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული იყოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების დამატებითი წინაპირობა. (22.02.2024, №21/2024)

2. სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გამოცდების ჩატარების ინსტრუქციასა და თსუ-ს ეთიკის კოდექსთან;

ბ) დასკნით გამოცდაზე დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება.

2[1]. შუალედური გამოცდის აღდგენის პირობები: (09.06.2014, №48/2014)

ა) შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, გამოცდის აღდგენა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და ამ მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს დეკანი. გამოცდის აღდგენა შესაძლებელია მოხდეს შუალედური გამოცდის ჩატარების დღიდან 2 კვირის ვადაში;

ბ) შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, შესაბამისი გამოცდის აღდგენა დასაშვებია საგამოცდო ცენტრისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით სტუდენტის მიერ გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და გამოცდის აღდგენამდე ამ მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს საგამოცდო ცენტრი. გამოცდის აღდგენა უნდა მოხდეს შუალედური გამოცდის ჩატარების დღიდან 2 კვირის ვადაში. (22.02.2024, №21/2024)

გ) შუალედური გამოცდის აღდგენისათვის განკუთვნილი 2 კვირის განმავლობაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტისათვის ინდივიდუალური წესით შუალედური გამოცდის აღდგენა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას ინდივიდუალური წესით შუალედური გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს ფაკულტეტის დეკანი.

3. დამატებით გამოცდაზე გასვლის პირობები:

ა) ძირითად გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;

ბ) ძირითად გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს

საგამოცდო ცენტრი, შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია საგამოცდო ცენტრისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამატებით გამოცდამდე დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს საგამოცდო ცენტრი; (22.02.2024, №21/2024)

გ) ამოღებულია; (22.02.2024, №21/2024)

დ) სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მომდევნო სემესტრში სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაცვაზე დამატებით გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით;

ე) 41–50 ქულის შეფასების პირობებში ან/და ძირითად გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს, რომელსაც დაგროვილი აქვს არანაკლებ 41 ქულისა, ავტომატურად ეძლევა შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;

ვ) ამოღებულია; (19.09.2016, № 111/2016)

ზ) სტუდენტი დამატებით გამოცდაზე დაიშვება მიმდინარე სემესტრის საგამოცდო პერიოდში, რექტორის ბრძანებით დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადებში;

თ) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გათვალისწინებით დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. (19.09.2016, № 111/2016) (22.02.2024, №21/2024)

4. სტუდენტისთვის გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა

ა) ძირითად ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, ძირითადი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;

ბ) ძირითად ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, ძირითადი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია საგამოცდო ცენტრისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და გამოცდამდე დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს საგამოცდო ცენტრი; (22.02.2024, №21/2024)

გ) ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში

სტუდენტისათვის საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნის თაობაზე დეკანის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი. (09.06.2014, №48/2014)

მუხლი 17. სტუდენტის შეფასების წესი

1. დასკვნითი და შესაბამისი დამატებითი გამოცდის ჩატარების ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს, ასეთ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში სტუდენტი მიიღებს ამ კომპონენტისათვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. (22.02.2024, №21/2024)
2. შეფასების სისტემა უშვებს: (19.09.2016, № 111/2016) (22.02.2024, №21/2024)
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
2^1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - (FX) (ვერ ჩააბარა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - (F) (ჩაიჭრა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. (19.09.2016, № 111/2016) (22.02.2024, №21/2024)
3. ამოღებულია. (04.10.2013, №111/2013) (19.09.2016, № 111/2016)
4. თუ სასწავლო კურსის შეფასებას ახდენს რამდენიმე გამომცდელი, საბოლოო შეფასება გამოითვლება მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკულით.
5. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. (19.09.2016, №111/2016)
6. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. (19.09.2016, № 111/2016)

7. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. (19.09.2016, №111/2016)

თავი VIII. აკადემიური ხარისხის მინიჭება

მუხლი 18. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება (22.02.2012, №13/2012) (12.11.2018, №224/2018)

1. საუნივერსიტეტო განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას, გარდა დოქტორანტურის საფეხურისა, დადგენილი წესის თანახმად ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტი.
2. დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (PhD) ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 19. დიპლომი/მოწმობა

1. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.
1^1. დოქტორის აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორის, ფაკულტეტის დეკანისა და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ. (12.11.2018, №224/2018)
2. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

თავიIX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი20. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესის მე–13 მუხლის მე–2 პუნქტი ამოქმედდეს 2014–2015 სასწავლო წლიდან. (04.10.2013, №111/2013)
2. წინამდებარე წესის მე-8 და მე-10 მუხლები ძალაში შევიდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ.

მუხლი 21. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესის მე–13 მუხლის მე–2 პუნქტის ამოქმედებამდე დამატებით სემესტრში სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე, შესასწავლი დისციპლინების კრედიტების მოცულობის ან სემესტრული გადასახდელის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) სემესტრში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის (30–40 კრედიტის) სრულად გავლის შემთხვევაში სემესტრული საფასური სწავლების ყველა საფეხურზე განისაზღვრება 1125 ლარით.

ბ) თუ საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილია სემესტრულ 1125 ლარზე მაღალი სწავლის საფასური, სტუდენტს დამატებით სემესტრშიც შეუნარჩუნდება აღნიშნული სწავლის საფასური.

გ) ცალკეული სასწავლო კურსის შესწავლისას საფასური განისაზღვრება საგნისათვის მინიჭებული კრედიტის შესაბამისად და სწავლების ყველა საფეხურზე შეადგენს კრედიტზე – 40 ლარს. (04.10.2013,№111/2013)

2. სტუდენტი, რომელმაც 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრამდე შიდა მობილობის პროცესში ჩართვის გარეშე შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამა და მის მიმართ არ გამოიცა საგანმანათლებლო ერთეულიდან/პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო ერთეულზე/პროგრამაზე გადასვლის შესახებ რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ჩაითვალოს შიდა მობილობის წესის დაცვით გადაყვანილ სტუდენტად. (14.07.2014,№64/2014)

3. ფაკულტეტმა უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში წინა სემესტრების აკადემიური რეგისტრაცია (სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი), კრედიტების აღიარება და შეფასების ასახვა გაცვლით პროგრამაში მონაწილე იმ სტუდენტებისათვის, ვინც კვლევა წინა სემესტრებში განახორციელა უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო ამავე სამეცნიერო კვლევის შედეგი წარადგინა მშობლიურ უნივერსიტეტში. (17.05.2017, №55/2017)

4. 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებს მიეცეთ პირადი განცხადების საფუძველზე სტუდენტის სტატუსის შეჩერების უფლება მიმდინარე სემესტრის განმავლობაში სააუდიტორიო მეცადინეობებისათვის განსაზღვრულ ვადაში. (14.05.2018, №123/2018)